განკარგულება:**g-81. 8125363001**
თარიღი:**29/12/2025**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №78

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მოწონებული იქნას ცაგერის მუნიციპალიტეტში 2026 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი შემდეგი პროექტი:

ტურისტულად მიმზიდველი ადგილების კეთილმოწყობის შესახებ.

მუხლი 2. ნება დაერთოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტის განხორციელების შესახებ წინადადება წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროში.

მუხლი 3. დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს 2026 წლისათვის განახორციელოს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტის სახელმწიფო შესყიდვა.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ცაგერის რაიონულ სასამართლოში (რუსთაველის ქუჩა№69).

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვასილ საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი